ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4058206

ნომერი: AR1612521

თარიღი : 29.06.2018

გაცემის თარიღი : 09.07.2018

გაცნობის თარიღი : 10.07.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ. ყაზბეგის გამზირი N15.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი ქევანიშვილი პ/ნ 60002012075
- საქართველო, ქალაქი თბილისი, წყალტუბოს ქუჩა, კორპუსი 1, ბინა 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ვინაიდან შენობა, რაზეც უნდა განთავსდეს სარეკლამო აბრა, არ არის ასახული საკადასტრო გეგმაზე, საჭიროა პირველ რიგში მოხდეს საჯარო რეესტრის საკადასტრო გეგმის განახლება, სადაც დაფიქსირებული იქნება სარეკონსტრუქციო შენობა და ატვირთეთ განახლებული საკადასტრო გეგმა.

2. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადებისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.

ასევე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი შესაბამისი გაბარიტული ზომებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

3. "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება -> ..მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი" - წარმოდგენილი მინდობილობა არ არის მისაღები, მინდობილობა გაცემულია კარტოზიას ქ. #10-ში მდებარე ობიექტთან დაკავშირებით, საპროექტო ობიექტი კი მდებარეობს ალ. ყაზბეგის გამზ. #15-ში, წარმოადგინეთ ახალი მინდობილობა.

4. არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება 05.06.2018 წლის მინდობილობით მინდობილი პირი არ არის უფლებამოსილი წარმოადგინოს მარწმუნებელი ს/კ: 01.10.14.010.030-ზე. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge